კარი II
მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკა

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტში საჩივრების განხილვის შედეგები

2010 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 1116 განცხადება (საჩივარი, წერილი), საიდანაც 1053 შემოვიდა 2010 წელს, ხოლო 63 შემოსული იყო 2009 წელს.

აღნიშნული განცხადებების (საჩივრების, წერილების) შესწავლის შედეგად:

1. 513 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა – 46,0%;
2. 37 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით – 3,3%;
3. 54 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება და მიმდინარეობდა დისციპლინური საქმის გამოკვლევა – 4,8%;

აღნიშნული 54 დისციპლინური საქმიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით:

ა) 30 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეები მიეცნენ დისციპლინურ პასუხისგებაში;

ბ) 20 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;

გ) 4 დისციპილინურ საქმეზე მოსამართლეების მიმართ შეწყდა საქმის წარმოება.

4. სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან, წერილებთან) გაერთიანდა იგივე საკითხებზე განმეორებით შემოსული, ასევე გადაიგზავნა ქვემდებარეობით და მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი თავიანთ წერილებზე დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდეციაულურობის შესახებ – 452 განცხადებაზე (საჩივარზე, წერილზე) – 40,5%;
5. 60 განცხადების (საჩივრის, წერილის) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება – 5,4%.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში საქმეთა განხილვის შედეგები

2010 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველად შემოვიდა 30 დისციპლინური საქმე.

2010 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განხილულ იქნა 5 დისციპლინური საქმე - 4 მოსამართლის მიმართ:

1. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა (1 მოსამართლე).

2. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – საყვედური (1 მოსამართლე).

3. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება (1 მოსამართლე).

4. 2 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება (2 მოსამართლე).

2010 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში არ გასაჩივრებულა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის არცერთი გადაწყვეტილება.

შემოვიდა Filed	ნაშთი (2009) Residual (2009)	განხილულია Heard	განხილვის შედეგები Results of case trials									
			შეწყდა Terminated	მოეხსნა ბრალდება Discharged from accusation	გამართლდა Acquitted	კერძო სარეკომენ-დაციო ბარათი Private letters of recommendation	გამოეცხადა Decalred			გათავისუფლდა თანამდებობიდან Dismiss from the position	განსახილველია Cases to be heard	გასაჩივრდა Appealed
							შენიშვნა Warning	საყვედური Reprimand	მკაცრი საყვედური Strict reprimand			
საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case	საქმე Case
30		5	2				1	1		1	25	

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შედეგები

2010 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში შემოვიდა საჩივრები სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2 გადაწყვეტილებაზე, რომელთაგან ორივე საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა განუხილველად.